



ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაცია  
საქართველოში

2010 წლის 16 მარტი, თბილისი ივენთ ჰოლი, დღის წესრიგი

პრეზენტაციები:

1. ასოციაციის წარდგენა -ირაკლი მარგველაშვილი, ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
2. ერთი მედიკამენტის შექმნის გზა- მარინა გიორგობიანი, ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, კომპანია სანოფი-ავენტისი
3. ასოციაციის სოციალური აქტივობა საქართველოში- ზურაბ ნატროშვილი, კომპანია გლაქსოსმიტკლაინი

დისკუსია

ფურშეტი



# Association of Pharmaceutical Companies Representatives in Georgia



ფარმაცევტული კომპანიების  
წარმომადგენელთა ასოციაცია  
საქართველოში



# დაფუძნება

2007 წლის ივლისი

დამფუძნებლები:

აქტავისი  
ბერლინ-ხემი/მენარინი  
გლაქსოსმიტკლაინი  
იპსენ ფარმა  
ლეკ ფარმაცეუტიკალს  
ლე ლაბორატუა სერვიე  
ნიკომედ ოსტეუროპა მარკეტინგ სერვისი  
ნოვარტის ფარმა სერვისი  
სანოფი აგენტის ჯგუფი  
ფაიზერ ლუქსემბურგ სარლი  
ფჰოფმან – ლა როში



# ამჟამად ასოციაციის წევრი არის 13 ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენლობა საქართველოში





# ასოციაციის სტრუქტურა

ასოციაციის წევრთა საერთო კრება



გამგეობა 5 წევრის შემადგენლობით



გამგეობის თავმჯდომარე



ადმასრულებელი დირექტორი



ასოციაციის ოფიციალური ვებ გვერდი

[www.apcrg.org.ge](http://www.apcrg.org.ge)



# ასოციაციის საერთაშორისო აღიარება

ასოციაციის მონაწილეობა პროექტში “ფარმგაერთიანება”: 2008 და  
2009 წლების საერთაშორისო ფორუმებში

2010 წელს ასოციაციის გაწევრიანება ფარმაცევტული მწარმოებლების  
და ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციაში  
(IFPMA –Geneva, Switzerland)



# ფარმაცევტული მწარმოებლების და ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია (IFPMA –Geneva, Switzerland)



მსოფლიო ფარმაციის ლიდერი 27 საერთაშორისო  
ფარმაცევტული კომპანია

ფარმაცევტული ინდუსტრიის წამომადგენელი  
ასოციაციები მსოფლიოს 57 ქვეყნიდან





# ფარმაცევტული მწარმოებლების და ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია (IFPMA) ოფიციალური კონსულტანტია :

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია



ევროპის საბჭო



ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია



მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია



მსოფლიო ბანკი



გაეროს ბავშვთა ფონდი





# ასოციაციის წევრი კომპანიების საქართველოს წარმომადგენლობების 2009 წლის მონაცემები:

დასაქმებულია **200** -ზე მეტი ადამიანი

რეგისტრირებულია და მარკეტირებულია **500**-ზე მეტი  
დასახელების და **1500**-ზე მეტი ფორმისა და დოზის  
მედიკამენტი

წარმოადგენს უმსხვილეს ინვესტორს საქართველოს  
სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთა სამეცნიერო-  
საგანმანათლებლო საქმიანობაში



# ასოციაციის მიზნები

ასოციაციის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში თანამედროვე, ეთიკური და ღია ფარმაცევტული ბაზრის შექმნას, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან და მოთხოვნებთან და გახდება განვითარებული მსოფლიოს ერთიანი ფარმაცევტული ბაზრის ადეკვატური ნაწილი, უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობას მაღალხარისხიანი, უსაფრთხო და ეფექტური სამედიცინო პროდუქციით.



# ასოციაციის მიზნები

საქართველოში თანამედროვე ეთიკური და ღია ფარმაცევტული ბაზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

ფარმაცევტულ ბაზარზე ეთიკური პრინციპების დაცვის კონტროლის განხორციელება



# პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

სამედიცინო პრეპარატების პრომოციის ეთიკის  
ნორმების დარღვევა

საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის  
სტატისტიკური მონაცემების სიმწირე

ფარმაცევტული პროდუქციის შესახებ  
კანონმდებლობის სრულყოფის ხელშეწყობა

მედიკამენტების შეცვლის პრობლემა  
აფთიაქებში



# სამედიცინო პრეპარატების პრომოციის ეთიკის ნორმების დარღვევა

სამედიცინო წარმომადგენლების საქმიანობის  
ეთიკის ნორმების დარღვევა

მედიკამენტებზე არასწორი ან არასრული  
ინფორმაციის მიწოდება მედიცინის მუშაკებისა  
და მოსახლეობისათვის

მედიცინის მუშაკების წახალისების  
არაეთიკური მეთოდები

მედიკამენტების არაეთიკური რეკლამა



# საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის სტატისტიკური მონაცემების სიმწირე

არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია ბაზრის  
მოცულობის და ცვლილებების შესახებ

არ არსებობს ინფორმაცია სხვადასხვა თერაპიული  
ჯგუფების პრეპარატებზე

გამწელებულია სამედიცინო მომსახურების  
რაციონალური ფარმაკოეკონომიური შეფასება



# ფარმაცევტული პროდუქციის შესახებ კანონმდებლობის სრულყოფის ხელშეწყობა

არსებული კანონმდებლობა ხშირად სრულად ვერ  
ეხმაურება თანამედროვე ფარმაცევტული ბაზრის  
ტენდენციებს

2009 წელს მიღებულ კანონმდებლურ იქმნებოდა  
პრეპარატების რეგისტრაციის სხვადასხვა სახის  
პრობლემები

ახალი კანონის მიღების შემდეგ გამარტივდა წამლის  
რეგისტრაცია და იმპორტი, მაგრამ გაიზარდა  
საქართველოს ბაზარზე ფალსიფიცირებული და  
უხარისხო პროდუქციის გამოჩენის რისკები





# ფარმაცევტული პროდუქციის შესახებ კანონმდებლობის სრულყოფის ხელშეწყობა

IMPACT (International Medical Products Anti-Counterfeiting Taskforce )

სამედიცინო პროდუქციის ფალსიფიკაციასთან ბრძოლის საერთაშორისო კომისია

დოკუმენტი: სამედიცინო პროდუქციის ფალსიფიკაციის საწინააღმდეგოდ მიმართული ეროვნული კანონმდებლობების პრინციპები და ელემენტები

პუნქტი 3.8: “სახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა შეიმუშავონ ისეთი რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს სამედიცინო პროდუქციის უსაფრთხო და გამჭვირვალე სადისტრიბუციო სისტემას. ამისათვის უნდა იქნას მიღებული დოკუმენტაციის ისეთი ფორმები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება პროდუქციის სრული მიკვლევადობა სადისტრიბუციო ჯაჭვის ყველა ეტაპზე მწარმოებლიდან და იმპორტიორიდან დისტრიბუციის საცალო რგოლამდე”



# მედიკამენტების შეცვლის პრობლემა ავთიაქებში



# მედიკამენტების შეცვლის პრობლემა ავთიაქებში

ექიმი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ  
მედიკამენტზე, რომელიც მან დაგინიშნათ

წამლის ყიდვისას დაზოგილი თანხა ზრდის  
მკურნალობის ხარჯებს



# ასოციაციის სოციალური საქმიანობა

ასოციაციის მიერ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებით დაზარალებული მოსახლეობისათვის გაწეულმა დახმარებამ შეადგინა 50 000 ლარზე მეტი



# ასოციაციაში გაწევრიანება

ასოციაციის წევრი შესაძლებელია გახდეს ნებისმიერი ფიზიკური პირი, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირი და უცხო ქვეყნის ორგანიზაციების საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ფილიალები, წარმომადგენლობები ან სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები საქართველოში, რომლებიც იზიარებენ ასოციაციის საქმიანობის მიზნებს, საქმიანობენ ასოციაციისათვის მნიშვნელოვან სფეროში.



# ასოციაციაში გაწევრიანების მთავარი კრიტერიუმი

*ეთიკა!*



# Association of Pharmaceutical Companies Representatives in Georgia

## **დიდი მადლობა!**

ფარმაცევტული კომპანიების  
წარმომადგენელთა ასოციაცია  
საქართველოში



# ერთი მედიკამენტის შექმნის გზა

თბილისი, 16 მარტი 2010

მარინა გიორგობიანი  
ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე



ჩვენ, ყველანი პოტენციური  
პაციენტები ვართ

ჩვენ, ყველას გვინდა  
უსაფრთხო და ეფექტური  
წამლები



# მოკლე მიმოხილვა

- წამლების შექმნის ისტორია
- ახალი მედიკამენტის შექმნის საფეხურები
- კლინიკური კვლევის ფაზები
- კლინიკური კვლევის დანახარჯები
- ინოვაციური წამლები
- გენერიული წამლები
- ბიომიმსგავსებები
- თანამედროვე ფარმ. ბაზრის ტენდენციები



# დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია

წარწერა  
სარეკლამო  
განცხადებაზე:

Cocaine- კოკაინი

კბილის ტკივილის  
საწინააღმდეგო  
წვეთები

მეისიერი გაყუჩება!

იყიდება ყველა  
აფთიაქში

დარეგისტრირებულია  
1885 წლის მარტში





# კანონი წამლის შესახებ

- ✓ მე-16 საუკუნეში პარაცელსი ამბობდა, რომ ერთადერთი განსხვავება შხამსა და წამალს შორის ეს არის მისი დოზა
- ✓ 1883 – პირველი სინთეზური მედიკამენტი ანტიპირინი;
- ✓ 1885 – პირველი ვაქცინა - ცოფის საწინააღმდეგო
- ✓ 1902 წელს – ვაქცინის უკონტროლო და მასიურმა გამოყენებამ მიგვიყვანა საშინელ ტრაგედიაზე, რომელიც გამოწვეული იყო დიფტერიის ვაქცინაში ცოცხალი ტეტანუსის ბაცილის არსებობით.

➤ 1902 – პირველი კანონი ბიოლოგიური პრეპარატების კონტროლის შესახებ (აშშ)

➤ 1906 – კანონი კვებისა და სამკურნალო საშუალებების შესახებ.

## კანონი წამლის შესახებ

- ✓ 1906 წელს სინთეზით მიღებულ იქნა სულფანილამიდი, რომელმაც 1930 წელს გადაარჩინა ათასობით ადამიანი.
- ✓ 1937 – სულფანილამიდის ელექსირმა, რომელიც დამზადებული იყო დიეთილენგლიკოლის ბაზაზე – მოგვცა ტრაგიკული შედეგი.

➤ 1938 – კანონი კვების, კოსმეტიკური და სამკურნალო საშუალებების შესახებ (აშშ)

- ✓ სარეცეპტო მედიკამენტების არსი
- ✓ უსაფრთხოების კონტროლი





## კანონი წამლის შესახებ

- ✓ ახალი მედიკამენტების ტალღა
- ✓ “ტალიდომიდი”-ს პრეკლინიკური კვლევების დროს არ გამოვლინდა ტოქსიური ეფექტი
- ✓ 1957 – 1961 წლებში 50-ზე მეტ ქვეყანაში “ტალიდომიდი”-ს გამოყენებამ ორსულ ქალებში გამოიწვია 10 000 მეტი განუვითარებელი ბავშვის დაბადება.
  - 1962 – კანონში შევიდა კეფოვერა-ხარისის ცვლილებები
  - უსაფრხოებასა და ეფექტურობაზე კონტროლის გამკაცრება
    - გვერდითი მოვლენების ნუსხის წარდგენა წამლის რეგისტრაციის დროს<sup>30</sup>

## კანონი წამლის შესახებ

- 1964 – მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ჰელსინკის დეკლარაცია;
- 1990 – საერთაშორისო კონფერენცია ჰარმონიზაციის შესახებ (ICH)

✓ 6 დამფუძნებელი ორგანიზაცია: აშშ – **FDA, PHRMA**, ევროპიდან - **EU, EFPIA**, იაპონიიდან - **MHLW, JPMA**, დამკვირვებელი ორგანიზაციები **WHO, EFTA**, კანადა





✓ ხარისხი, უსაფრთხოება, ეფექტურობა



# ახალი ინოვაციური მედიკამენტების გამოგონება



შექმნილი მოლეკულების  
უმრავლესობა კვლევების შემდეგ  
საბოლოოდ ვერ ხდება წამალი








# ორიგინალური წამლის შექმნის ეტაპები


- მოლეკულის აღმოჩენა - სკრინინგი
- პრეკლინიკური კვლევები (**in vitro, in vivo**)
  - ✓ მწვავე ტოქსიურობა
  - ✓ ფარმაკოლოგიურ ეფექტი
  - ✓ ქრონიკული ტოქსიურობა
- კლინიკური კვლევები (I, II, III, IV ფაზები):
  - ✓ ფაზა I – უსაფრთხოება/არასასურველი მოვლენები, ფარმაკოლოგიური მოქმედებები (ბიოშედწევადობა, მეტაბოლიზმი, ფარმაკოდინამიკა, ფარმაკოკინეტიკა), მაქსიმალური დოზები, მეორე ფაზისათვის, დოზის ერთჯერადი და მრავალჯერადი გაზრდის ხანმოკლე კვლევები, პაციენტები 50-80






# წამლის შექმნის ეტაპები

- ფაზა II – უსაფრთხოება, ეფექტურობის საწყისი შეფასება დაავადებულ პაციენტებში, დოზაზე დამოკიდებული ეფექტის დადგენა მე-3 ფაზისათვის, ბიოშედწევადობა, წამლებთან ურთიერთქმედება, ფარმაკოდინამიკა, ფარმაკოკინეტიკა. ორმაგი ბრმა კვლევები - პლაცებოსთან, შედარების პრეპარატთან, ვიწრო კრიტერიუმებით შეფასება, პაციენტები 200-300;
- ფაზა III – ეფექტურობის და უსაფრთხოების დადასტურება, პაციენტების სხვადასხვა პოპულაციებში რისკის და სარგებლის შეფარდების შეფასება, ფართო კრიტერიუმებით შეფასება, დოზირების რეჟიმები, რანდომიზებული, კონტროლირებადი კვლევები პლაცებოსთან, შედარების პრეპარატთან, პაციენტების რამოდენიმე სამკურნალო ჯგუფი – პაციენტი 5000-30000
- ფაზა IV – დამატებითი ინფორმაციები ეფექტურობის, რისკის და სარგებლის შეფასება არაერთგვაროვან დემოგრაფიული ჯგუფის პაციენტებში.






# წამლის შექმნის ეტაპები მისი საპატენტო დაცვის ვადებთან მიმართებაში





# სამკურნალო საშუალებათა გამოგონებისა და განვითარების დანახარჯები





# დანახარჯები და რისკი ახალი მოლეკულის შექმნის დროს

პატენტის ვადა:  
20 წელი


წამლის შექმნის  
საშუალო დრო:  
12-15 წელი



- 1999 წლიდან 2005 წლამდე საშუალო დანახარჯი ახალი სამკურნალო პრეპარატის შექმნისათვის გაიზარდა 1,1 მილიარდი დოლარიდან 1,7 მილიარდამდე, ე.ი. 600 მილიონით. (ბენი და კომ 2005);
- 90-იან წლებში ალბათობა გამოგონების წარმატებისა კლინიკური კვლევების დროს იყო - 1/8 თან, ახლა შეფარდება არის 1/13;
- 6 აღიარებული პრეპარატიდან მხოლოდ ერთი მედიკამენტი ახდენს მასში ინვესტირებული დანახარჯის უკუგებას;



# სხვადასხვა ინდუსტრიაში კვლევითი სამუშაოების დანახარჯების (%) შედარება



მონაცემები აღებულია 700 ყველაზე მსხვილი ევროპული კომპანიების 2004 წლის მონაცემებით  
წყარო: The 2005 EU industrial R&D investment scoreboard, European Commission, DG Research



ასოციაციის წევრი კომპანიების მიერ  
მთელ მსოფლიოში ჩატარებული კვლევითი  
სამუშაოების წლიური მოცულობა

35

მილიარდი  
დოლარი



# ინოვაციური მედიკამენტების პრობლემები

წამლების  
მსოფლიო ბაზარი  
2020 წლისათვის  
გახდება 1,3  
ტრილიონი აშშ  
დოლარი

- 1998 წლიდან 2002 წლამდე FDA აღიარა 415 ახალი სამკურნალო საშუალება, მაგრამ მათგან მხოლოდ 14% შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილად ინოვაციურ სამკურნალო საშუალებად;
- 2007 წელს FDA აღიარა 38 ახალი სამკურნალო საშუალება, მათ შორის მხოლოდ 14 პროდუქტი იყო ინოვაციური;





# კვლავწარმოებული წამლები (გენერიკები)



თერაპიული  
ექვივალენტობა



## ინოვაციური წამალი

- ✓ აქვს ეფექტურობის მყარი მტკიცებულებები
- ✓ უსაფრთხოება და ხარისხის სტანდარტები
- ✓ გადის სრულ სარეგისტრაციო პროცედურას
- ✓ არის ან არ არის პატენტის დაცვის ქვეშ

## გენერიული წამალი

- ✓ უნდა აკმაყოფილებდეს ეფექტურობის, უსაფრთხოების და ხარისხის იგივე სტანდარტებს
- ✓ გადის შემოკლებულ სარეგისტრაციო პროცედურას
- ✓ შემოდის ბაზარზე ორიგინალის საპატენტო დაცვის ვადის გასვლის შემდეგ
- ✓ როგორც წესი უფრო იაფია



# გენერიული მედიკამენტების პრობლემები

წამლების  
მსოფლიო ბაზარზე  
იზრდება  
გენერიული  
მედიკამენტების  
წილი

- FDA მიერ ფარმაცევტულ კომპანიებისთვის გაგზავნილ იქნა 1000-ზე მეტი წერილი ფარმაკოკინეტიკური კვლევების არასათანადოდ ჩატარების გამო.
- 1995-96 წლებში დიდ ბრიტანეთში შემოწმდა 2427 გენერიული მედიკამენტი – 84 პრეპარატის გადაიგზავნა გადასამოწმებლად. (**Drug Ther. Bull.1997**)
- აშშ – FDA თვლის რომ გენერიული პრეპარატების 20% არ არის ორიგინალის ბიოეკვივალენტური, ე.ი. ისინი არ არიან ურთიერთშემცვლელეები;





# ბიომიმსგავსებები პრეპარატების ახალი ჯგუფი

- **EMEA** და **FDA** მარეგულირებელი ორგანოები აღიარებენ ბიომიმსგავსებულ პრეპარატებს
- ბიოლოგიური პროდუქტი
  - ✓ აქტიური სუბსტანცია არის ბიოლოგიური ნივთიერება
- ბიოლოგიური ნივთიერება
  - ✓ ბიოლოგიური წყაროს მიერ წარმოებული ან გამოყოფილი ნივთიერება
  - ✓ დახასიათებისა და ხარისხის განსაზღვრისთვის წარმოების პროცესის დახასიათებასა და კონტროლთან ერთად საჭიროებს ფიზიკო-ქიმიურ და ბიოლოგიურ ტესტირებას




# შესაძლებელია რომ ორი ბიოლოგიური პროდუქტი იყოს “იგივე” თუ მხოლოდ “მსგავსი”?

## შეუძლებელია:

- ბიოლოგიური პროდუქტის სრული გამეორება თვით პროდუქტის და წარმოების პროცესის უკიდურესი სირთულის გამო
- ორი სხვადასხვა მწარმოებლის მიერ სხვადასხვა წარმოების პროცესის გამოყენებით ერთი და იგივე ბიოლოგიური პრეპარატის მიღება
- ბუნებაში ბიოლოგიური პრეპარატის სრული განმეორება, ვინაიდან 100%- ში წარმოების პროცესიც და საწყისი ბიოტექნოლოგიური ნედლეული წარმოადგენს კომპანიის ინტელექტუალურ საკუთრებას, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი სხვა კომპანიისათვის

აქედან გამომდინარე, გენერიული პრეპარატებისაგან განსხვავებით, საჭიროებენ რეგისტრაციის დროს პრეკლინიკური და კლინიკური კვლევების მონაცემებს.

# მსოფლიო ფარმაცევტული ბაზრის ზრდაზე მოქმედი ფაქტორები





ერთი მედიკამენტის შექმნა არის ძალიან ხანგრძლივი, შრომატევადი, რთული და ძვირადღირებული პროცესი, რომელშიც ჩართულნი არიან პლანეტის საუკეთესო მეცნიერები და რომლის შედეგიც არის მილიონობით გადარჩენილი სიცოცხლე



# ასოციაციის წევრი კომპანიების სოციალური აქტივობა საქართველოში



## კომპანია სანოფი-ავენტისის წარმომადგენლობა

- ▶ 2007 წელს უსასყიდლოდ იქნა გადაცემული 300 000 ერთეული პოლიომიელიტის ვაქცინა
- ▶ აქტიურად ჩართულია ბავშვთა ასოციაცია “ურთიერთობის” მიერ ორგანიზებულ აქციაში “თქვენი ჯანსაღი მომავალი”
- ▶ რეგულარულად უწევს დახმარებას დიაბეტიან ბავშვთა ასოციაციას
- ▶ მოახდინა აფხაზეთის რეგიონში ენდოკრინოლოგიური გამოკვლევების ორგანიზება და ჩაატარა სემინარი ენდოკრინოლოგებისათვის. უსასყიდლოდ გადაცემული იქნა გლუკომეტრები





## ფაიზერ ლუქსემბურგ სარლის წარმომადგენლობა საქართველოში

- ▶ 2008-2009 წლებში ფინანსურად დაეხმარა სოციალურად დაუცველ პაციენტებს სხვადასხვა ტიპის ქირურგიული და სხვა სახის მკურნალობის ანაზღაურებისათვის საერთო თანხით 10 000 დოლარი
- ▶ 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების დროს გადმორიცხა 5 000 დოლარი ომით დაზარალებულთა დასახმარებლად
- ▶ 2008 -2009 წლებში სუტენტის გლობალური დონაციის პროგრამით (Sutent Global Donation Program ) უზრუნველყო პრეპარატით სუტენტი (**sunitinib maleati**) 7 პაციენტი თირკმლის მეტასტაზირებული სიმსივნის დიაგნოზით. პაციენტების მკურნალობა და მონიტორინგი ხდება ქიმიოთერაპიის ცენტრში “მედულა” და უროლოგიის ეროვნულ ცენტრში. პროგრამა გაგრძელდება 2010 წლის ბოლომდე და მისი საერთო ღირებულება შეადგენს 560 054 დოლარს.



## ვიორვაგ ფარმა ჯორჯია

- ▶ 2006 წლიდან დღემდე ფინანსდება კლინიკური კვლევები შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებში: აკ.ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, პალიატიური მედიცინის ცენტრი, ნარკოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი
- ▶ 2007 წლიდან დღემდე გრძელდება პროექტი “დავძლიოთ ტკივილი ერთად”
- ▶ 2008 წლიდან დღემდე გრძელდება ნეიროპათიული კაბინეტების გახსნა საქართველოს მასშტაბით, სახელწოდებით “ტკივილის კაბინეტები”
- ▶ 2008 წლიდან დღემდე ფინანსდება საქართველოს წამყვანი სპეციალისტების უფასო კონსულტაციები საქართველოს მასშტაბით



## ვიორვაგ ფარმა ჯორჯია

- ▶ 2008 წელს გამოყოფილი და უსასყიდლოდ გადაცემული იქნა მედიკამენტები აგვისტოს ტრაგიკული მოვლენებით დაზარალებული მოსახლეობისათვის საერთო ღირებულებით 18 000 ლარი
- ▶ 2009-2010 წლები: პროექტის “ჯანმრთელი ცხოვრება” ფარგლებში დაფინანსებულია 600 ადამიანის ლაბორატორიული გამოკვლევა პროფესორ ლენა გიორგაძის კლინიკაში



## ემ-ეს-დე (შერინგ პლაუ)

- ▶ 2007-2008 წლები: ჰუმანიტარული აქციის ფარგლებში საქართველოში შემოტანილი იქნა 563 840 აბი პრეპარატი ზოკორი (10 მგ)
- ▶ 2007-2008 წლები: 400 პაციენტი 3 თვის განმავლობაში უფასოდ იღებდა პრეპარატს კო-რენიტეკი (სულ პაციენტებისათვის უსასყიდლოდ მოხმარებული იქნა პრეპარატის 2400 კოლოფი)
- ▶ 2008 წელი: 35 პაციენტი 6 თვის განმავლობაში უფასოდ იღებდა პრეპარატს ზოკორი-ფორტე 40 მგ (სულ პაციენტებისათვის გადაცემული იქნა 420 კოლოფი პრეპარატი)



## ემ-ეს-დე (შერინგ პლაუ)

- ▶ 2008 წელი: ჰუმანიტარული დახმარების აქციის ფარგლებში საქართველოში უსასყიდლოდ შემოტანილი იქნა 4 000 ფლაკონი პრეპარატი ტიენამი, რომელიც მოხმარდა აგვისტოს ტრაგიკული მოვლენებით დაზარალებულ მოსახლეობას
- ▶ 2009-2010 წლები: 2009 წელში კომპანიამ მოახდინა საშვილოსნოს ყელის კიბოსთან ბრძოლის კვირეულის ორგანიზება და 2010 წლის იანვარში მონაწილეობა მიიღო ასეთი კვირეულის ჩატარებაში
- ▶ 2010 წელი: თბილისის მერიასთან და ორგანიზაციასთან “საქართველოს ამერიკელი მეგობრები” ერთად, კომპანია იწყებს პროგრამას, რომელიც მოიცავს 9-13 წლის ასაკის 6 400 გოგონას უფასო ვაქცინაციას პაპილომა ვირუსის წინააღმდეგ (პაპილომა ვირუსი წარმოადგენს საშვილოსნოს ყელის კიბოსა და გენიტალური კონდილომების გამომწვევ მიზეზს)



## იპსენ ფარმა

- ▶ 5 000 დოლარი გადაეცა ფრანგულ-ქართული სკოლას ქ.ზუგდიდში შენობის რეაბილიტაციის მიზნით. სკოლას, რომელიც გაიხსნა პრინცი და პრინცესა მიურატების პატრონაჟით
- ▶ 2008 წელი: ჰუმანიტარული დახმარების აქციის ფარგლებში საქართველოში უსასყიდლოდ შემოტანილი იქნა 1 000 კოლოფი პრეპარატი სმექტა, რომელიც მოხმარდა აგვისტოს ტრაგიკული მოვლენებით დაზარალებულ მოსახლეობას გორის რაიონში.



## ჰოფმან ლა როში

- ▶ 2005 -2007 წლებში უსასყიდლოდ იქნა გადაცემული 17 500 კოლოფი პრეპარატი როცეფინი (2 გრ), რომლის საერთო ღირებულებამაც შეადგინა 382 000 ლარი
- ▶ განხორციელდა საქართველოს მასშტაბით ოსტეოპოროზისა და ჭარბი წონის სინდრომის სკრინინგული კვლევის დაფინანსება
- ▶ პედიატრიულ კლინიკებსა და პოლიკლინიკებს გადაეცა საჩუქრად გრიპის ვირუსის სწრაფი ტესტირების 500 კომპლექტი
- ▶ შეტანილი იქნა მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოში იმუნოჰისტოქიმიური კვლევის განვითარების საქმეში: ორ წამყვან ონკოლოგიურ კლინიკას საჩუქრად გადაეცა შესაბამისი ლაბორატორიული მოწყობილობა და განხორციელდა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა



## ჰოფმან ლა როში

▶ ხორციელდება პროგრამა პეგასისტი: პროგრამა რომელიც ზრდის ჰეპატიტი C –ს მკურნალობის ხელმისაწვდომობას. პროგრამის ფარგლებში პაციენტს მედიკამენტების ნაწილი გადაეცემა უფასოდ და ასევე უფასოდ უტარდება გამოკვლევები.

▶ 2010 წელს დაავადებათა კონტროლის ცენტრთან თანამშრომლობით თბილისის კლინიკების მედპერსონალს ჩაუტარდება სკრინინგული კვლევა HCV ვირუსზე

▶ 2009/2010 წლებში განხორციელდა აქტიური თანამშრომლობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან “ღორის გრიპთან” ბრძოლის სფეროში. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში უსასყიდლოდ იქნა გადაცემული 7 000 კოლოფი პრეპარატი ტამიფლუ.





## გლასოსმიტკლაინი

- ▶ 2006 წლიდან დღემდე სოციალური პროექტის “ნარინჯისფერი ბარათი” ფარგლებში ასთმით დაავადებული პაციენტებისათვის პრეპარატი სერეტიდი შესაძენად კომპენსირებულმა თანხამ შეადგინა 700 000 ლარი
- ▶ დამატებით სხვადასხვა საქველმოქმედო აქციების ფარგლებში საჩუქრად გადაცემული მედიკამენტების საერთო ღირებულებამ შეადგინა 10 000 დოლარი.
- ▶ 2008 წლიდან დღემდე პროექტების IMA და Project Hope ფარგლებში საქართველოში პაციენტებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული სხვადასხვა თერაპიული ჯგუფის მედიკამენტების საერთო ღირებულებამ შეადგინა 250 000 დოლარი.



## გლახოსმიტკლაინი

- ▶ სს მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალის ონკო-ჰემატოლოგიური განყოფილების პაციენტებისათვის საჩუქრად გადაცემული იქნა 1050 კოლოფი პრეპარატი პურიენტოლი, საერთო ღირებულებით 80 000 დოლარი.
- ▶ ლონდონში, კომპანიის სათაო ოფისში განთავსებული ყულაბის მეშვეობით თანამშრომლების მიერ შეგროვდა 5 000 ინგლისური გირვანქა სტერლინგი. ამ თანხით გარემონტდა სს მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალის ონკო-ჰემატოლოგიური განყოფილების პაციენტი ბავშვების თანმხლები მშობლებისა და ოჯახის წევრებისათვის განკუთვნილი სასტუმრო-სახლი და სამზარეულო. გლახოსმიტკლაინის სათაო ოფისის თანამშრომლებმა ამავე განყოფილების პაციენტ ბავშვებს საჩუქრად გადასცეს ეკოლოგიურად სუფთა სახატავი საშუალებები და საკანცელარიო ნივთები.



## ნოვარტის ფარმა

- ▶ ყოველ წელიწადს დაახლოებით 20 000 დოლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების მედიკამენტი გადაეცემა უსასყიდლოდ საქართველოს მოსახლეობას
- ▶ 2003 წლიდან დაწყებული მიმდინარეობს პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ყველა პაციენტს, რომელსაც აქვს დადასტურებული ქრონიკული მიელოლეიკოზის დიაგნოზი და იმყოფება აღრიცხვაზე ჰემატოლოგიის და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტში, უფასოდ ეძლევა პრეპარატი გლივეკი. 2003 წლიდან დღემდე საჩუქრად გადაცემული იქნა პრეპარატი გლივეკი საერთო ღირებულებით 7 000 000 (შვიდი მილიონი) შვეიცარული ფრანკი.



...საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო ფარმაცევტული კომპანიები ზრუნავენ საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე და ჯანმრთელობაზე არა მხოლოდ ხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო მედიკამენტების მოწოდებით საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე, არამედ ახორციელებენ მნიშვნელოვან ჰუმანიტარული ხასიათის საქმიანობასაც. აღნიშნული საქმიანობა საშუალებას აძლევს ათი ათასობით საქართველოს მოქალაქეს უსასყიდლოდ გაიუმჯობესოს ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხოლო ასეულობით ადამიანისათვის დღესდღეობით რჩება სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთ წყაროდ ....



# Association of Pharmaceutical Companies Representatives in Georgia

**დიდი მადლობა!**

ფარმაცევტული კომპანიების  
წარმომადგენელთა ასოციაცია  
საქართველოში